

სახელმძღვანელო ინსტრუქცია

სერედიტი დისკუსი 250 მკგ+50მკგ ფხვნილი
ინჰალაციისთვის

- ***აქტიური ინგრედიენტები:*** 50 მიკროგრამი სალმეტეროლი (როგორც სალმეტეროლი ქსინაფოატი) და 250 მიკროგრამი ფლუტიკაზონის პროპიონატი ერთ ინჰალაციაში
- ***დამხმარე ნივთიერება:*** ლაქტოზა

მედიკამენტის გამოყენებამდე ყურადღებით წაიკითხეთ სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რადგან ის შეიცავს თქვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

- *შეინახეთ წინამდებარე მომხმარებლის სახელმძღვანელო. შეიძლება დაგჭირდეთ ხელახლა წაკითხვა.*
- *დამატებითი შეკითხვებით გთხოვთ, მიმართოთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.*
- *ეს წამალი დაგენიშნათ პირადად თქვენ, არ მისცეთ ის სხვებს.*
- *ექიმთან ან საავადმყოფოში მისვლისას აცნობეთ თქვენს ექიმს, რომ ამ მედიკამენტს იყენებთ*
- *ზუსტად დაიცავით წინამდებარე ინსტრუქციაში მოცემული მითითებები. არ გამოიყენოთ მაღალი ან დაბალი დოზები, გარდა იმ დოზისა, რომელიც თქვენთვის არის რეკომენდებული.*

წინამდებარე სახელმძღვანელო ინსტრუქციაში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

1. რა არის სერედიტი დისკუსი და რისთვის გამოიყენება იგი?
2. რა უნდა იცოდეთ სერედიტი დისკუსის გამოყენებამდე?
3. როგორ გამოვიყენოთ სერედიტი დისკუსი?
4. რა არის შესაძლო გვერდითი მოვლენები?
5. სერედიტი დისკუსის შენახვა

1. რა არის სერედიტი დისკუსი და რისთვის გამოიყენება იგი?

- სერედიტი შეიცავს სალმეტეროლს და ფლუტიკაზონს, როგორც აქტიურ ინგრედიენტებს.

- სალმეტეროლი მიეკუთვნება წამლების ჯგუფს, რომელსაც ეწოდება ბრონქოდილატატორები (ბრონქების გამაფართოებლები), რომლებიც არბილებს ფილტვებში სასუნთქი გზების კედლებს და იწვევს მათ გაფართოებას.

- ფლუტიკაზონი კი თავის მხრივ მიეკუთვნება კორტიკოსტეროიდებად წოდებულ პრეპარატებს და ვინაიდან მას აქვს ანთების საწინააღმდეგო ეფექტი, ხსნის სუნთქვის პრობლემებს ფილტვებში სასუნთქი გზების კედლებში შეშუპებისა და მგრძნობელობის შემცირებით.

სერედიტი დისკუსი 250 მიკროგრამი არის 60-დოზიანი მოწყობილობა, რომელიც ასხურებს 50 მიკროგრამ სალმეტეროლს და 250 მიკროგრამს ფლუტიკაზონს თითო გამოყენებაზე.

სერედიტი დისკუსი გამოიყენება შემდეგ სიტუაციებში:

- ასთმის სიმპტომების გამოსწორება და კონტროლი. იგი ინიშნება ასთმის ეტაპობრივი მკურნალობის მე-3 საფეხურიდან.
- ზომიერი და მძიმე COPD (ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება) მქონე პაციენტებში შეტევების სიმპტომებისა და სიხშირის შემცირებისას რეგულარული მკურნალობით.

სერედიტი ეხმარება პაციენტს, შეაჩეროს ქოშინი და ხიხინი დაწყებამდე. პრეპარატი არ იმოქმედებს, თუ ქოშინი ან ხიხინი უკვე დაიწყო. თუ ეს მოხდება, თქვენ უნდა გამოიყენოთ სწრაფი მოქმედების "სამაშველო" პრეპარატები, როგორიცაა სლაბუტამოლი. ყოველთვის თან იქონიეთ სწრაფი მოქმედების, სამაშველო წამალი
მიმართეთ ექიმს, თუ ჩვეულებრივზე უფრო ხშირად აღგენიშნებათ ქოშინი ან ხიხინი, ან თუ ჩვეულებრივზე ხშირად იყენებთ სწრაფი მოქმედების სამაშველო მედიკამენტს .

2. რა უნდა იცოდეთ სერედიტი დისკუსის გამოყენებამდე? არ გამოიყენოთ სერედიტი დისკუსი შემდეგ სიტუაციებში:

თუ;

ა. თუ ხართ ალერგიული (ჰიპერმგრძნობიარე) სალმეტეროლის ან ფლუტიკაზონის აქტიური ინგრედიენტების ან დამხმარე ნივთიერებების ლაქტოზას მიმართ

სერედიტი დისკუსი სიფრთხილით გამოიყენება შემდეგ სიტუაციებში:

ა. არ გამოიყენოთ სერედიტი დისკუსი უეცარი სიმპტომების შესამსუბუქებლად, ყოველთვის თან იქონიეთ მედიკამენტები, რომლებსაც იყენებთ ასეთ პირობებში.

ბ. თუ თქვენ შემთხვევაში გაიზარდა ხანმოკლე მოქმედების ბრონქოდილატატორების (ბრონქოდილატატორები) გამოყენება სიმპტომების შესამსუბუქებლად, აცნობეთ ექიმს, ეს მიუთითებს თქვენი ასთმის კონტროლის გაუარესებაზე.

გ. აცნობეთ ექიმს, თუ ასთმა მოულოდნელად და თანდათანობით გაუარესდა.

დ. არ შეწყვიტოთ წამლით მკურნალობა ექიმთან კონსულტაციის გარეშე, სერეტიდით მკურნალობა უნდა შეწყდეს ეტაპობრივად ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

ე. არსებობს პნევმონიის განვითარების გაზრდილი რისკი COPD-ით დაავადებულ პაციენტებში სერედიტი დისკუსის გამოყენებისას.

ვ. თუ გაქვთ აქტიური და ჩუმად მიმდინარე ფილტვის ტუბერკულოზი, აცნობეთ ექიმს, მას შეუძლია შეცვალოს თქვენი მკურნალობა.

გ. თუ გაქვთ თირეოტოქსიკოზი (მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია ფარისებრი ჯირკვლის მიერ ჰორმონების გადაჭარბებული სეკრეციით), აცნობეთ ექიმს, შესაძლოა მან ცვლილებები შეიტანოს თქვენს მკურნალობაში.

თ. როდესაც სერედიტი დისკუსი ინიშნება სამკურნალო დოზებთან შედარებით უფრო მაღალი დოზებით, ამან შეიძლება გამოიწვიოს არტერიული წნევის და გულისცემის მატება, ასე რომ, თუ გაქვთ გულ-სისხლძარღვთა დაავადება, აცნობეთ ექიმს, მას შეუძლია ცვლილებები შეიტანოს თქვენს მკურნალობაში.

ი. როდესაც სერედიტი დისკუსი მიიღება უფრო მაღალი თერაპიული დოზებით, ამან შეიძლება გამოიწვიოს სისხლში კალიუმის დონის დაქვეითება. ამიტომ, თუ გაქვთ სისხლში კალიუმის დაბალი დონე ან აღნიშნული მდგომარეობისკენ მიდრეკილება, აცნობეთ ექიმს, მას შეუძლია შეცვალოს თქვენი მკურნალობა.

კ. სერედიტი დისკუსის ხანგრძლივი გამოყენებისას, განსაკუთრებით მაღალი დოზებით, შესაძლოა განვითარდეს კუშინგის სინდრომი (კეხის მსგავსი ცხიმის დაგროვება ზურგზე, სახის დამრგვალება, ჭარბი თმის ზრდა და ოსტეოპოროზი განსაკუთრებით წელისა და მენჯის არეში), კუშინგის მსგავსი სიმპტომები. თირკმელზედა ჯირკვლის დათრგუნვა (თირკმელზედა ჯირკვლიდან ჰორმონის გამოყოფის დათრგუნვა) მასში შემავალი კორტიკოსტეროიდის გამო შეიძლება გამოიწვიოს სისტემური ეფექტები, როგორიცაა ზრდის შეფერხება, ძვლის

მინერალური სიმკვრივის დაქვეითება, კატარაქტა და გლაუკომა (თვალის წნევა) ბავშვებში და მოზარდებში.

ლ. მას შეუძლია გამოიწვიოს ზრდის შეფერხება ბავშვებში და მოზარდებში, ამიტომ რეგულარულად უნდა გაკონტროლდეს ბავშვების სიმაღლე, რომლებიც იღებენ სერედიტი დისკუსს დიდი ხნის განმავლობაში,

მ. ზოგიერთი პაციენტი შეიძლება იყოს უფრო მგრძნობიარე ინჰალირებული კორტიკოსტეროიდების მიმართ, ამიტომ თქვენი ექიმი ყურადღებით გააკონტროლებს თქვენს მდგომარეობას, როდესაც ორალური კორტიკოსტეროიდებით თერაპიიდან ინჰალაციურ კორტიკოსტეროიდებზე გადახვალთ.

ნ. ინჰალაციური ფლუტიკაზონის პროპიონატით მკურნალობის დაწყების შემდეგ, თან იქონიეთ გამაფრთხილებელი ბარათი, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ შესაძლოა დაგჭირდეთ დამატებითი მკურნალობა სტრესის დროს.

ო. სერედიტი დისკუსმა შეიძლება გაზარდოს სისხლში შაქრის დონე, ასე რომ, თუ გაქვთ დიაბეტი, აცნობეთ ექიმს. მას შეუძლია ცვლილებები შეიტანოს თქვენს მკურნალობაში.

პ. თუ იყენებთ რიტონავირს (მედიკამენტი, რომელიც გამოიყენება ვირუსების საწინააღმდეგოდ), აცნობეთ ექიმს. მას შეუძლია თქვენი მკურნალობის შეცვლა.

თუ ზემოთ მითითებული მდგომარეობა აღგენიშნებათ, ან აღგენიშნებოდათ თუნდაც წარსულში ნებისმიერ დროს, გთხოვთ, მიმართოთ ექიმს.

სერედიტი დისკუსის გამოყენება საკვებთან და სასმელთან ერთად

სერედიტი დისკუსი არ ურთიერთქმედებს საკვებთან და სასმელთან მისი გამოყენების წესის გამო.

ორსულობა

- მედიკამენტის გამოყენებამდე მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.
- თუ ორსულად ხართ და გეგმავთ დაორსულებას, აუცილებლად უნდა აცნობოთ ექიმს.
- თუ მკურნალობის დროს მიხვდებით, რომ ორსულად ხართ, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

ძუძუთი კვება

- მედიკამენტის გამოყენებამდე მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.
- ვინაიდან ძუძუთი კვების დროს სალმეტეროლისა და ფლუტიკაზონის გამოყენების არასაკმარისი გამოცდილებაა, მიიღეთ მედიკამენტი ძუძუთი კვების დროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ექიმი გადაწყვეტს ამის აუცილებლობას.

ავტომანქანებისა და მექანიზმების გამოყენება

მოსალოდნელია, რომ სერედიტი დისკუსი არ იმოქმედებს ავტომობილის მართვისა და მექანიზმებთან მუშაობის უნარზე.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია სერედიტი დისკუსის ზოგიერთი ინგრედიენტის შესახებ

სერედიტი დისკუსი შეიცავს ლაქტოზას. ვინაიდან სერედიტი დისკუსის მიღების გზა არის ინჰალაცია, გაფრთხილება არ არის საჭირო.

სხვა პრეპარატებთან ერთად გამოყენება

თუ იღებთ ან ცოტა ხნის წინ იღებდით რაიმე სხვა მედიკამენტს, გთხოვთ აცნობოთ ამის შესახებ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს. ეს მედიკამენტები მოიცავს ასთმის მედიკამენტებს ან რეცეპტის გარეშე მიღებულ მედიკამენტებს. სერეტიდის მიღება სხვა პრეპარატებთან ერთად შეიძლება არ იყოს რეკომენდებული.
სერეტიდის გამოყენებამდე გთხოვთ აცნობოთ ექიმს, თუ იყენებთ რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ პრეპარატს:
• ბეტა-ბლოკატორები (როგორიცაა ათენოლი, პროპრანოლოლი და სოტალოლი). ბეტა-ბლოკატორები ძირითადად გამოიყენება მაღალი წნევის ან გულის სხვა დაავადებების დროს.
• აივ-ის სამკურნალოდ გამოყენებული ზოგიერთი პრეპარატი (როგორიცაა რიტონავირი, კობისტანის შემცველი პრეპარატები) და ინფექციების საწინააღმდეგო პრეპარატები (როგორიცაა კეტოკონაზოლი, იტრაკონაზოლი და ერითრომიცინი). ზოგიერთმა ამ წამალმა შესაძლოა გამოიწვიოს თქვენს ორგანიზმში ფლუკიტაზონის პროპიონატის ან სალემტეროლის რაოდენობის გაზრდა. ამან შეიძლება გაზარდოს გვერდითი ეფექტების განვითარების რისკი, მათ შორის არარეგულარული გულისცემა, ან გააუარესოს ნებისმიერი გვერდითი მოვლენა. თუ ამ პრეპარატებს იყენებთ, ექიმმა შეიძლება მოისურვოს თქვენი მონიტორინგი.
• კორტიკოსტეროიდები (ანთების საწინააღმდეგო საშუალებები, მიიღება პერორალურად ან ინექციით). თუ თქვენ ახლახან იყენებდით ამ პრეპარატებს. ამან შეიძლება გაზარდოს თირკმელზედა ჯირკვალზე წამლის ზემოქმედების რისკი.
• დიურეტიკები, ასევე ცნობილი როგორც შარდმდენი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება მაღალი წნევის სამკურნალოდ (დიურეტიკები, რომლებსაც შეუძლიათ შეამცირონ კალიუმის დონე სისხლში, როგორიცაა ფუროსემიდი, ჰიდროქლორთიაზიდი)
• სხვა ბრონქოდილატატორები (როგორიცაა სალბუტამოლი), რომლებიც გამოიყენება ასთმისა და COPD-ის სამკურნალოდ
• ქსანტინის პრეპარატები (გამოიყენება ასთმის სამკურნალოდ)

თუ ამჟამად იყენებთ ან ახლახან იყენებდით რეცეპტით ან ურეცეპტოდ გაცემულ მედიკამენტს, გთხოვთ აცნობოთ მათ შესახებ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

3. როგორ გამოვიყენოთ სერედიტი დისკუსი?

გამოიყენეთ სერეტიდი ყოველდღე, სანამ ექიმი არ გირჩევთ შეწყვეტას. არ გამოიყენოთ უფრო მაღალი დოზები, ვიდრე რეკომენდებულია თქვენი ექიმის მიერ. თუ არ ხართ დარწმუნებული, მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.
ექიმთან კონსულტაციის გარეშე არ შეწყვიტოთ სერეტიდის გამოყენება და არ შეამციროთ დოზა, რომელსაც იყენებთ.

სერეტიდი შეჰყავთ პირიდან, საიდანაც გადადის ფილტვებში.

- სათანადო გამოყენების ინსტრუქცია და დოზა/შეყვანის სიხშირე:

ასთმის მკურნალობისას:

მოზრდილები და 12 წელზე უფროსი მოზარდები:
1 ინჰალაცია (ინჰალაცია ფილტვებში) დღეში ორჯერ (50 მიკროგრამი სალმეტეროლი და 250 მიკროგრამი ფლუტიკაზონი).

ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების დროს (COPD):

მოზრდილები: 1 ინჰალაცია (ინჰალაცია ფილტვებში) ორჯერ დღეში (50 მიკროგრამი სალმეტეროლი და 250 მიკროგრამი ფლუტიკაზონი).

მიღების გზა და მეთოდი:

სერედიტი დისკუსი შეჰყავთ მხოლოდ ინჰალაციის გზით. დაფხვნილი წამალი პირით შეისუნთქეთ ფილტვებში (ინჰალაცია: წამლის მიღება პირით სუნთქვისას).


თუ სერედიტი დისკუსი ინიშნება ბავშვისთვის, შეყვანა უნდა მოხდეს ზრდასრულის მეთვალყურეობის ქვეშ, რომელმაც იცის, თუ როგორ გამოიყენოს სერედიტი დისკუსი.

სრული სარგებლის მიღების მიზნით აუცილებელია სერედიტი დისკუსის რეგულარული გამოყენება. არ შეწყვიტოთ მკურნალობა მაშინაც კი, თუ თავს უკეთ გრძნობთ.


არ შეცვალოთ თქვენი წამლის დოზა ექიმთან კონსულტაციის გარეშე.

სერედიტი დისკუსი

დახურული
როდესაც დისკუსს ამოიღებთ მისი ყუთიდან, ის დახურულ მდგომარეობაში იქნება.



გახსენით
გამოუყენებელი დისკუსი შეიცავს პრეპარატის 60 დოზას ფხვნილის სახით, რომელიც ინდივიდუალურად არის შენახული. დოზის ინდიკატორი აჩვენებს წამლის რამდენი დოზაა დარჩენილი დისკუსში.



თითოეული დოზა ზუსტად იზომება და დაცულია ჰიგიენური პირობების შესაბამისად. არ საჭიროებს მოვლას ან შევსებას.

დოზის ინდიკატორი დისკის ზედა ნაწილში გვიჩვენებს რამდენი დოზა დარჩა. რიცხვები 5-დან 0-მდე წითლად არის დაწერილი, რათა გაგაფრთხილოთ, როდესაც მედიკამენტის რაოდენობა მცირდება.

დისკუსი მარტივი გამოსაყენებელია. რა უნდა გააკეთოთ წამლის მიღებისას ნაჩვენებია შემდეგ ოთხ საფეხურზე:

1. გახსნა

2. გადახვევა

3. ჩასუნთქვა

4. გამორთვა


5. არ გამოირეცხოთ პირი

როგორ მმოქმედებს სერედიტი დისკუსი?

ბერკეტის დაჭერით იხსნება პატარა ხვრელი მუნდშტუკში და წამლის დოზა მზად არის შესასუნთქად. როდესაც დისკი დაიხურება, ბერკეტი ავტომატურად უბრუნდება საწყის პოზიციას და მზად არის შემდეგი გამოყენებისთვის. გარე საფარი იცავს დისკუსს, როდესაც არ გამოიყენება.


1. გახსნა – როგორ უნდა გამოიყენოთ დისკუსი?

დისკუსის გასახსნელად, ერთი ხელით დაიჭირეთ გარე საფარი და მეორე ხელის ცერი დაადეთ მითითებულ ადგილზე. ცერა თითი მაქსიმალურად შორს გაწიეთ თქვენგან საპირისპირო მიმართულებით.



2. გადახვევა.

დაიჭირეთ დისკუსი ისე, რომ პირის მხარე თქვენსკენ არის მიმართული. დააწექით ბერკეტს




თქვენგან საპირისპირო მიმართულებით მანამ, სანამ "დაწკაპუნებას" არ გაიგებთ. დისკუსი ახლა უკვე მზად არის გამოსაყენებლად. ყოველ ჯერზე, როდესაც ბერკეტი უკან იხევს, დოზა ხელმისაწვდომია ინჰალაციისთვის. ეს ჩანს დოზის ინდიკატორში. არ ითამაშოთ ბერკეტით, რათა თავიდან აიცილოთ წამლის გაფლანგვის საფრთხე.

3. ჩასუნთქვა

- წამლის ჩასუნთქვამდე ყურადღებით წაიკითხეთ ეს მითითება.


- მოაშორეთ დისკუსი პირიდან. ამოისუნთქეთ რაც შეიძლება კომფორტულად. გახსოვდეთ - არასოდეს ჩაისუნთქოთ დისკუსში.
- მოწყობილობის პირი ტუჩებთან მიიჭირეთ. ისუნთქეთ გრძლად და ღრმად - არა ცხვირით, არამედ დისკუსით.
- მოაშორეთ დისკუსი პირიდან.
- შეიკავეთ სუნთქვა 10 წამით ან რამდენიც თქვენთვის კომფორტული იქნება.
- ნელა ამოისუნთქეთ.



4. გამორთვა

დისკუსის დახურვის მიზნით, დაადეთ ცერა თითი ცერის ადგილზე და გაასრიალეთ იგი უკან თქვენსკენ.

დისკის დახურვისას დაწკაპუნება ისმის. ბერკეტი ავტომატურად უბრუნდება თავდაპირველ პოზიციას და მზად არის ისევ გამოსაყენებლად.



თუ რეკომენდებულია ორი ინჰალაციის გაკეთება, უნდა გაიმეოროთ ნაბიჯები 1-დან 4-მდე.

5. არ გამოირეცხოთ პირი

შემდეგ გამოირეცხეთ პირი წყლით და გადაანერწყვეთ.

გახსოვდეთ!

შეინახეთ დისკუსი მშრალ ადგილზე იგი დახურულ მდგომარეობაში, როდესაც არ იყენებთ. არასოდეს ჩაისუნთქოთ დისკში.
დააჭირეთ ბერკეტს მხოლოდ მაშინ, როცა მზად იქნებით წამლის მისაღებად. არ მიიღოთ დანიშნულ დოზაზე მეტი.

• სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი

გამოყენება ბავშვებში: სერედიტი დისკუსი 100 მიკროგრამი გამოიყენება 4-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებში. არ არსებობს ინფორმაცია სერეტიდის გამოყენების შესახებ 4 წლამდე ასაკის ბავშვებში.

გამოყენება ხანდაზმულებში: ხანდაზმულებში დოზის კორექცია საჭირო არ არის.

სპეციალური გამოყენების შემთხვევები:

თირკმელების/ღვიძლის უკმარისობა: დოზის შეცვლა არ არის საჭირო თირკმლის ან ღვიძლის უკმარისობის მქონე პაციენტებში.

თუ ფიქრობთ, რომ სერედიტი დისკუსის ეფექტი ძალიან ძლიერი ან სუსტია, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ იყენებთ საჭიროზე მეტ სერედიტი დისკუსს:

თუ იმაზე მეტი სერედიტი დისკუსი მიიღეთ, ვიდრე უნდა გამოგეყენებინათ, მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ დაგავიწყდათ სერედიტი დისკუსის გამოყენება:

თუ დაგავიწყდათ სერედიტი დისკუსის გამოყენება, გააგრძელეთ შემდეგი დოზის მიღება ჩვეულებრივ დროს.

არ მიიღოთ ორმაგი დოზა გამოტოვებული დოზის ასანაზღაურებლად.

ეფექტები, რომლებიც შეიძლება აღინიშნოს სერედიტი დისკუსით მკურნალობის შეწყვეტისას

ასთმიან პაციენტებში სერედიტი დისკუსის მკურნალობა არ უნდა შეწყდეს უეცრად გამწვავების გამო, მკურნალობის დოზა თანდათან უნდა შემცირდეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. ამან შეიძლება გააუარესოს თქვენი სუნთქვის პრობლემები, იშვიათ შემთხვევაში კი გამოიწვიოს სერიოზული გვერდითი მოვლენები. აღნიშნული გვერდითი მოვლენები მოიცავს შემდეგს:

- კუჭის ტკივილი
- დაღლილობა და მადის დაკარგვა

- გულისრევა და დიარეა
- წონის დაკლება
- თავის ტკივილი და თავბრუსხვევა
- სისხლში კალიუმის დონის დაქვეითება
- დაბალი წნევა და კრუნჩხვები

COPD-ის მქონე პაციენტებში თერაპიის შეწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს სიმპტომატური დეკომპენსაცია (ორგანოს ფუნქციონირების შეუძლებლობა), მკურნალობა უნდა შეწყდეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

4. რა არის შესაძლო გვერდითი მოვლენები?

ყველა მედიკამენტის მსგავსად, სერედიტი დისკუსის ინგრედიენტების მიმართ მგრძნობიარე ადამიანებში შეიძლება აღინიშნოს გვერდითი მოვლენები. გვერდითი ეფექტების რისკის შესამცირებლად, ექიმი დაგინიშნავთ სერედიტის ყველაზე დაბალ დოზას თქვენი ასთმის გასაკონტროლებლად.
ყველა მედიკამენტის მსგავსად, შეიძლება აღინიშნოს გვერდითი მოვლენები მედიკამენტში შემავალი ნივთიერებების მიმართ მგრძნობიარე ადამიანებში.

გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია შემდეგ კატეგორიებში.
ძალიან ხშირი: შეიძლება აღინიშნოს 10-დან 1 პაციენტში მაინც.
ხშირი: 10 პაციენტიდან ერთზე ნაკლები, მაგრამ 100 პაციენტში ერთი ან მეტი. ნაკლებად ხშირი: 1-ზე ნაკლები 100 პაციენტში, მაგრამ 1 ან მეტი 1000 პაციენტში.
იშვიათი: ის შეიძლება გამოვლინდეს 1000-დან 1-ზე ნაკლებ პაციენტში, მაგრამ 10000 პაციენტიდან 1-ში ან მეტში.
ძალიან იშვიათი: 1-ზე ნაკლები 10000 პაციენტიდან.
სიხშირე უცნობია: არ შეიძლება შეფასდეს არსებული მონაცემებით.

ძალიან ხშირი (აღენიშნება 10-დან 1-ზე მეტ პაციენტს):
- თავის ტკივილი - ეს ჩვეულებრივ უმჯობესდება მკურნალობის გაგრძელებისას.
- COPD-ის მქონე პაციენტებში დაფიქსირდა გაციების რაოდენობის მატება.

ხშირი (აღენიშნება 10-დან 1 პაციენტზე ნაკლებს):
- პირის ღრუსა და ყელის კიბო (მტკივნეული, კრემისებრ-მოყვითალო ლაქები). ასევე ენის, ყელის შეშუპება და ხმის ჩახლეჩა. ყოველი ჩასუნთქვის შემდეგ პირის ღრუს წყლით გამორეცხვა და წყლის დაუყოვნებლივ გადმოფურთხება შეიძლება დაგვეხმაროს. თქვენმა ექიმმა შეიძლება დაგინიშნოთ სოკოს საწინააღმდეგო წამალი კიბოს სამკურნალოდ.
- კანკალი და სწრაფი ან არარეგულარული გულისცემა (პალპიტაცია) - ეს ჩვეულებრივ უვნებელია და მცირდება მკურნალობის გაგრძელებით.
- კუნთების კრუნჩხვები

შემდეგი გვერდითი მოვლენები ასევე დაფიქსირდა ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების მქონე პაციენტებში (COPD):
- პნევმონია და ბრონქიტი (ფილტვის ინფექცია) აცნობეთ ექიმს, თუ შეამჩნევთ რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ სიმპტომს: ნახველის გამომუშავების გაზრდა, ნახველის ფერის

შეცვლა, ცხელება, შემცივნება, ხველების მომატება, სუნთქვის პრობლემების გაძლიერება.

- სისხლჩაქცევები და ძვლების მოტეხილობები.
- სინუსიტი (შებოჭილობის ან სისავსის შეგრძნება ცხვირში, ლოყებსა და თვალების უკან, ხანდახან თან ახლავს ტკივილი).
- სისხლში კალიუმის რაოდენობის დაქვეითება (თქვენი გულისცემა შეიძლება გახდეს არარეგულარული, კუნთები შეიძლება დასუსტდეს და აღინიშნოს კრუნჩხვები).

ნაკლებად ხშირი (აღენიშნება 100 პაციენტიდან 1-ზე ნაკლებს):

- გამონაყარი.
- ძალიან სწრაფი გულისცემა (ტაქიკარდია).

ძალიან იშვიათი (აღენიშნება 10000-დან 1-ზე ნაკლებ პაციენტს):

- ალერგიული რეაქციები: სერეტიდის გამოყენების შემდეგ შეიძლება შეამჩნიოთ სუნთქვის უეცარი გაუარესება. შეიძლება აღგენიშნოთ გადაჭარბებული ხიხინი და ხველა. ასევე შეიძლება განიცადოთ ქავილი და შეშუპება სხეულში (ჩვეულებრივ სახეზე, ტუჩებზე ან ყელის არეში). თუ აღგენიშნათ ეს მოვლენები, ან თუ ისინი გამოვლინდებიან სერეტიდის გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ, შეწყვიტეთ სერეტიდის გამოყენება და დაუყოვნებლივ აცნობეთ ექიმს ან მიმართეთ უახლოესი საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების განყოფილებას.
- სერედიტს შეუძლია გავლენა მოახდინოს ორგანიზმში სტეროიდული ჰორმონების ნორმალურ გამომუშავებაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ იყენებთ მაღალ დოზებს დიდი ხნის განმავლობაში. ეს ეფექტები შემდეგია:
- ბავშვებში და მოზარდებში ზრდის შენელება
- ძვლების გათხელება
- კატარაქტა და გლაუკომა
- წონის მომატება

მრგვალი (მთვარის ფორმის) სახე (კუშინგის სინდრომი).

ექიმი რეგულარულად შეამოწმებს თქვენს მდგომარეობას, რათა ნახოს, წარმოიქმნება თუ არა ეს გვერდითი მოვლენები და უზრუნველყოს, რომ მიიღოთ სერედიტის ყველაზე დაბალი დოზა თქვენი ასთმის გასაკონტროლებლად.

- აცნობეთ ექიმს არარეგულარული ან გულისცემის (არითმიის) შესახებ, როდესაც გული ნორმალურზე ხშირად სცემს, მაგრამ არ შეწყვიტოთ სერედიტის გამოყენება მანამ, სანამ ექიმი არ გეტყვით.
- სისხლში შაქრის (გლუკოზის) რაოდენობის გაზრდა (ჰიპერგლიკემია). თუ თქვენ გაქვთ დიაბეტი, შეიძლება დაგჭირდეთ სისხლში შაქრის უფრო ხშირად მონიტორინგი და მედიკამენტის დოზის მორგება დიაბეტთან.
- ქცევითი ცვლილებები, როგორიცაა შფოთვითი განწყობა, ძილის დარღვევა და უჩვეულოდ აქტიური ან მოუსვენარი ქცევა (ეს ეფექტები ხშირად შეიძლება გამოვლინდეს ბავშვებში).
- მტკივნეული, შეშუპებული სახსრები და კუნთების ტკივილი.

თუ გაქვთ რაიმე გვერდითი მოვლენა, რომელიც არ არის აღნიშნული ამ ინსტრუქციაში, აცნობეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

5.სერედიტი დისკუსის შენახვა

შეინახეთ სერედიტი ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას მისსავე შეფუთვაში.

შეინახეთ 30oC-ზე დაბალ ტემპერატურაზე მშრალ ადგილას.

გამოიყენეთ ვარგისიანობის ვადების შესაბამისად.

არ გამოიყენოთ სერედიტი დისკუსი შეფუთვაზე მითითებული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ.

ლიცენზიის მფლობელი: GlaxoSmithKline İlaçları San. ve Tic. Inc.
Buyukdere Cad. No173, 1.ლევენტ პლაზა
ბლოკი B 34394 1.ლევენტი / სტამბული

Ambalajındaki son kullanma tarihinden sonra სერედიტი დისკუსი'u kullanmayınız.

Ruhsat sahibi: GlaxoSmithKline İlaçları San. ve Tic. A.Ş.
Büyükdere Cad. No.173, 1.Levent Plaza
B Blok 34394 1.Levent/İstanbul

Üretici: Glaxo Wellcome Production, Evreux/Fransa